სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)"

Scientific magazine

"AUTHORITY AND SOCIETY

(History, Theory, Practice)"

Научный журнал "ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО

(История, Теория, Практика)"

№ 3 (51) 2019

ღია დიპლომატიის ასოციაციის

სამეცნიერო ჟურნალი

Scientific magazine of
The Open Diplomacy Association

Научный журнал
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

ISSN 1512-374X

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)
ხ. 402

სარედაქციო კოლეგია:

შოთა დოღონაძე მთავარი რედაქტორი
ოთარ ქოჩორაძე მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოთარ ბაღათურია პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბაღათურია, ოთარ ბაღათურია, რასა ბელოკაიტე, ანასტასია განიჩი, იური გორიცკი, ვახტანგ გურული, ქეთო დავითაია, შოთა დოღონაძე, ელუნ დრაკე, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერჯო კამიზი, რიჩარდ მაასი, მიხაილო მედვიდი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუი, ბადრი ნაკაშიძე, ლიზავეტა ჟახანინა, ბუდი ნურანი რუჩჯანა, რამონ პიეტრო-სუარესი, გერტ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ვიაჩესლავ ძიუნძიუკი, ია ხუბაშვილი. ენდრიუ ლენუქს ჰარდინგსი.

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია ავტორი.
გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას
და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:
საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი,
I სართული, ტელ. 236-45-14,
77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.
Tel. [+995 32] 2364514
e-mail: **geoandopendip@yahoo.com**

გარეკანის გაფორმება: დავით ბაღათურია
ჟურნალი გამოდის კვარტალში ერთხელ, 4 ნომერი წელიწადში
ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ვებგვერდზე:
http://odageorgia.ge/?page=gamocemebi
ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია
საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში:
http://www.eLIBRARY.ru

პ რ ა ქ ტ ი კ ა

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი

1991-2008 წლებში მიღებული საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებების რაოდენობრივი მაჩვენებლებისთვის

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი კონფლიქტების ანალიზისა და მართვის პროგრამის დოქტორანტია თსუ-ში. წინამდებარე ნაშრომი - „1991-2008 წლებში მიღებული საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებების რაოდენობრივი მაჩვენებლებისთვის“ - საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებების სისტემატიზაციის, რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა. ნაშრომის ავტორი განიხილავს სამშვიდობო ხელშეკრულებების შესწავლა-შეფასების თანამედროვე მეცნიერულ მიდგომებს და აყალიბებს საკუთარ მსჯელობას, როგორ უნდა შევაფასოთ სამშვიდობო ხელშეკრულებათა მასივი, რომელიც შემუშავდა საქართველოს სამშვიდობო პროცესებში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის. კვლევა მიმოიხილავს 1991-დან 2008 წლის ჩათვლით პერიოდში მიღებულ დოკუმენტებს, რომელთაგან ავტორი გამოყოფს ორი ტიპის სამშვიდობო ხელშეკრულებებს შემუშავებული მახასიათებლების შესაბამისად. ნაშრომი ღირებულია დარგის სპეციალისტებისა და ხელისუფლების იმ წარმომადგენელთათვის, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ დაკავშირებულია საქართველოს სამშვიდობო პროცესთან.

საკვანძო სიტყვები: *სამშვიდობო ხელშეკრულება, სამშვიდობო პროცესი, შეიარაღებული კონფლიქტი, კონფლიქტის თავიდან აცილება, მოლაპარაკებები.*

შესავალი

სამშვიდობო პროცესი, ისევე, როგორც ტერმინი “მშვიდობა”, დღეისათვის, მრავალფეროვანი განმარტებით განისაზღვრება. თუმცა, ყველა განმარტებისთვის საერთოა ის დედააზრი, რომ ამ პროცესის მიზანი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაა. სამშვიდობო პროცესი მოიცავს იმგვარ ინიციატივებს, რომლებიც დაეხმარება შეთანხმების მიღწევას და ამ

უკანასკნელთა შესრულებას, რათა დასრულდეს შეიარაღებული კონფლიქტი და საფუძველი შეიქმნას ახალი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისთვის [ACCORD (2009)]. სამშვიდობო პროცესში მშვიდობის დასამყარებელი საქმიანობა სამი მიმართულებით ხორციელება. ეს მიმართულებებია: ხელისუფლების წარმომადგენელთა სამშვიდობო ინიციატივები, დიპლომატების (ან/და მესამე ნეიტრალური მხარის) მონაწილეობა და პრაქტიკოსი მშვიდობისმშენებლების სამოქალაქო აქტივობები კონფლიქტის ნდობის აღდგენის მექანიზმების გამოყენებით. სამივე მიმართულების ერთობლივი, აკუმულირებული შედეგი არის სწორედ მყარი საფუძველი მდგრადი მშვიდობის მისაღწევად.

სქართველოს შეიარაღებული კონფლიქტებისა და, აქედან გამომდინარე, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის შექმნილი, სამშვიდობო პროცესების ანალიზისას, 1990-იანი წლებიდან დღემდე, ორი ძირითადი ეტაპი უნდა გამოვყოთ. პირველი ეტაპი იწყება 1992 წლიდან, როდესაც საქართველო გაწევრიანდა გაერო-სა და ეუთო-ში. 1993 წლის მაისიდან საქართველოში დაინიშნა გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი და იმავე წლის აგვისტოში გაერო-ს პირველი 10 დამკვირვებელი ჩამოვიდა (გაერო-ს დამკვირვებელთა მისია საქართველოში (UNOMIG)). საქართველოს სამშვიდობო პროცესის პირველი ეტაპი დასრულდა 2008 წლის აგვისტოში. ცნობილი აგვისტოს ომის (08.08.08) მოვლენების შემდეგ, სამშვიდობო პროცესის მეორე ეტაპი დაიწყო და განისაზღვრება 2008 წლის 12 აგვისტოდან, როდესაც ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმების 6-პუნქტიან ხელშეკრულებას. მოგვიანებით, სექტემბერში, შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატი და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM), რაც განსაზღვრული იყო 6-პუნქტიანი სამშვიდობო ხელშეკრულებით. სამშვიდობო პროცესის მეორე ეტაპი დღემდე გრძელდება.

2008 წლამდე მოქმედი საქართველოს სამშვიდობო პროცესი, ფორმალურად, ორი მიმართულებით იყოფოდა: ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური. ოფიციალური მოლაპარაკებები, რომელშიც საქართველო ორივე მიმართულებაში მონაწილეობდა, „მესამე ნეიტრალური მხარის“ მონაწლეობითა და ეგიდით ხორციელდებოდა. შესაბამისად, გაერო-ს კომპეტენცია (მედიაცია,

ფასილიტაცია, სადამკვირვებლო საქმიანობა) იყო ქართულ-აფხაზური მიმართულება. ხოლო ეუთო-ს საქმიანობა (მედიაცია, ფასილიტაცია სადამკვირვებლო საქმიანობა) კი, ფარავდა ქართულ-ოსურ მიმართულებას.

2009 წელს რუსეთმა ვეტო დაადო გაერო-სა და ეუთო-ს სადამკვირვებლო საქმიანობას, რის შედეგად საქართველოში, დღესდღეობით, ერთადერთი სადამკვირვებლო მისია დარჩა, რომელიც ევროკავშირმა შექმნა სწორედ 6-პუნქტიანი სამშვიდობო ხელშეკრულების შესაბამისი კომპონენტის განხორციელებით.

2008 წლამდე გაერო-სა და ეუთო-ს მონაწილეობითა და ხელშეწყობით განხორციელებულ სამშვიდობო მოლაპარაკებებში შემუშავდა რიგი წინადადებებისა, რომელთა დიდი ნაწილი სამშვიდობო ხელშეკრულებებში აისახა. 2008 წლის შემდეგ შეცვლილმა საერთაშორისო მიდგომამ (სარკოზი-სააკაშვილი-მედვედევის 6-პუნქტიანი შეთანხმება) გააუქმა ყველა მანამდე არსებული ფორმატი და, ახალი მიდგომის საფუძველზე, სადაც ყველა მხარე ერთად მონაწილეობს - შეთანხმებული საკითხები რაიმე ტიპის წერილობით დოკუმენტად აღარ წარმოქმნა.

სამშვიდობო ხელშეკრულების რაობა

გასული საუკუნის 60-იანი წლების წიაღში სამშვიდობო ხელშეკრულების რაობა გაგებული იყო, როგორც შეთანხმება იმგვარი მშვიდობისთვის, რომელსაც მრავალი იზიარებს, თუ ყველა არა [გალტუნგი, ი. (1969)]. თუმცა, მოგვიანებით, როდესაც მშვიდობის მეცნიერების კლასიკოსის, იოჰან გალტუნგის, გზაზე მრავალი მეცნიერი დადგა, მშვიდობის მისაღწევი ხელშეკრულებების მეცნიერული შესწავლა დაიწყო, განხორციელდა ამ დოკუმენტთა ინვენტარიზაცია, მახასიათებელთა მინიჭება და, რიგ შემთხვევაში, გამოვლინდა ამ უკანასკნელთა ფორმები, ტიპები და სახეები. სამშვიდობო ხელშეკრულებები სხვადასხვა ტიპისაა, თუმცა ყოველი მათგანი ერთ მიზანს ემსახურება, მშვიდობის დამყარებას მხარეთა შორის. მკვლევართა მიერ სამშვიდობო პროცესებისა და მათი თანმდევი სამშვიდობო ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად აღწერილია ამ უკანასკნელთა მზარდი როლი მშვიდობის დამყარებასა და კონფლიქტის თავიდან აცილებაში და, აგრეთვე, გაანალიზებულია რიგი გამოწვევა, რომელიც სამშვიდობო პროცესის თანმდევია.

მოგვიანებით, გაერო-მ ხელი შეუწყო სამშვიდობო ხელშეკრულებათა საერთაშორისო სტანდარტიზაციის პროცესს [გაერო-ს გენ. მდივანი, (2004)], რომელიც, ემყარება რა კონფლიქტის მოგვარების თანამედროვე პრინციპებს, აყალიბებს რეკომენდაციათა სერიას მოლაპარაკებების, სამშვიდობო ხელშეკრულებებისა და გაერო-ს უშიშროების საბჭოსთვის. ასე, მაგალითად, გაერო-მ მკაცრად განსაზღვრა ის საკითხები, რომლებიც სამშვიდობო ხელშეკრულებებმა არასოდეს უნდა ასახოს: გენოციდის, ომის დანაშაულებების, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებების ან ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების ამნისტია. მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც, უპირველესად, გაერო-ს უშიშროების საბჭოს ეხება, მიუთითებს, რომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სამშვიდობო ხელშეკრულებათა მოსალოდნელი შედეგები კანონის უზენაესობისა და ქვეყნის სამართლებრივი სისტემის მიმართ, ასევე, მათი (სამშვიდობო ხელშეკრულებების) პირობები და შესაძლო გავლენა არსებულ ტრადიციებსა და ინსტიტუციებზე.

მეორე მხრივ, რიგი მკვლევარი მიუთითებს სირთულეებზე, რომელსაც ვხვდებით სამშვიდობო ხელშეკრულებების მისაღწევად (მისაღებად) შექმნილ სამშვიდობო პროცეში [Christine Bell (2006)] ისევე, როგორც სამშვიდობო ხელშეკრულებების განხორციელებისას [Kuol, Nyok, K. A. (2010)]. სამშვიდობო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენლის - მოლაპარაკებების - დროს, ხელისუფლების წარმომადგენლები და მათთან დაპირისპირებული შეიარაღებული კონფლიქტის ოპონენტ(ებ)ი გამართულ მოლაპარაკებში ერთად მონაწილეობენ. მოლაპარაკებების სირთულე და მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ სამშვიდობო ხელშეკრულებებში ასახული ერთ-ერთი გამოწვევა სწორედ ის გახლავთ, რომ ეს უკანასკნელნი (შეიარაღებული კონფლიქტის ოპონენტ(ებ)ი), თანაბრად და თანასწორად უნდა იქნან განხილულნი [Christine Bell (2006)].

მიუხედავად დიდი რაოდენობა შრომებისა, მეცნიერულად განსაზღვრონ სამშვიდობო ხელშეკრულებები, ერთიანი საყოველთაო განმარტება არ არსებობს. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია ჰოლისტიკური და ემპირიული მიდგომა და, შედეგად, გაერთიანებულია ყველა არსებული მცდელობა ზოგადი განმარტების შესამუშავებლად. ასეთი მიდგომა მეტ

შესაძლებლობას იძლევა, სრულად მოეყაროს თავი ყველა დოკუმენტს, რომელიც მშვიდობის დასამყარებლად, მშვიდობის აღსადგენად და კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის შემუშავდა საქართველოში.

საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებების სტატისტიკური მონაცემები

1990-იანი წლებიდან დღემდე საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მიზნით, ოფიციალური მოლაპარაკებების შედეგად მიღებული შეთანხმებები სამშვიდობო ხელშეკრულებებში აისახა. ეს დოკუმენტები ხელმოწერილია მოლაპარაკებების მონაწილე მხარეთა წარმომადგენლების მიერ და მათი ერთობლიობა ხელმისაწვდომია პუბლიკაციებში და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო არქივში.

წინამდებარე კვლევის საგანი სამშვიდობო მოლაპარაკებების შედეგად შემუშავებული, სამშვიდობო პროცესის მონაწილეთა მიერ მიღებული ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულებებია. აღნიშნული დოკუმენტების შემუშავება ოფიციალურ ფორმატებში მოხდა, სადაც კონფლიქტის მხარეთა სახელისუფლო წარმომადგენლები და მესამე ნეიტრალური მხარის დიპლომატები მონაწილეობდნენ.

სამშვიდობო ხელშეკრულებად კვლევაში განხილულია ოფიციალური შეთანხმების დოკუმენტი, კონტრაქტი, რომელიც ხელმოწერილია კონფლიქტის მონაწილე ორი ან მეტი მხარის მიერ და, რომელიც ხელს უწყობს და გულისხმობს ძალადობრივი კონფლიქტის მოგვარებას ან ტრანსფორმაციას მშვიდობის მიმართულებით.

კვლევის უპირველესი ამოცანა, რა თქმა უნდა, არსებული მასალის თავმოყრა, ინვენტარიზაცია და შეფასება გახლდათ. ამ ეტაპზე, შეგროვდა და საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებად გამოიყო, 454 დოკუმენტი, რომელთა დამუშავება-გაანალიზება ისევ გრძელდება.

გაანალიზებული სამშვიდობო ხელშეკრულებები მოიცავს 1991-2008 წლების პერიოდს, როდესაც, შეიარაღებული კონფლიქტების კვალდაკვალ, გაჩნდა სამშვიდობო პროცესის ჩანასახი და გაიმართა მშვიდობის დასამყარებელი, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებელი მოლაპარაკებები. ამ პერიოდში შემუშავებული 770 დოკუმენტი [დიასამიძე, თ., (2008)] სხვადასხვა შინაარსისა და

ტიპისაა, მათ შორისაა რეზოლუციები, დადგენილებები, ბრძანებულებები, სხვ. წინასწარი შერჩევის შედეგად, დოკუმენტების საერთო რაოდენობიდან (770 დოკუმენტი) სამშვიდობო ხელშეკრულებად შეფასდა 454. მათ შორის, 105 დოკუმენტი, რომლებიც შეიმუშავა და მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურამ, განხილულია, როგორც ე.წ. **სამშვიდობო ხელშეკრულების მოსამზადებელი დოკუმენტი.** იდენტიფიცირებული „სამშვიდობო ხელშეკრულების მოსამზადებელი დოკუმენტი“ შეესაბამება სამშვიდობო ხელშეკრულებათა ერთ-ერთ ტიპს, სულ იდენტიფიცირებული 16 ტიპის დოკუმენტიდან, შესაბამისი მახასიათებლის მიხედვით. სწორედ ამ კატეგორიაშია განხილული, მათ შორის, აღნიშნული 105 დოკუმენტი, რომელიც მიმართულია რა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისკენ, მხარეებს მოუწოდებს, დაიცვან შეთანხმებები, თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისგან და სხვ. და, ამასთან, ეხმარება ემხარეებს, გააგრძელონ საქმიანობა შეთანხმებათა შესრულების მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ ეს დოკუმენტები მიღებულია არა რომელიმე ერთი დაინტერესებული, არამედ, მესამე, ნეიტრალური, მხარის მიერ, რომელიც კონფლიქტის სუბიექტებისგან აღიარებულია ასეთად.

454 დოკუმენტიდან დანარჩენი 349 სამშვიდობო ხელშეკრულება კი შემუშავდა და მიიღო (ხელმოწერილია) კონფლიქტის სუბიექტებმა მოლაპარაკების შედეგად. მათი უმრავლესობა შეიმუშავა კონფლიქტის მოსაგვარებლად სპეციალურად შექმნილმა ერთობლივი სტრუქტურის ორგანომ (ერთობლივი კომისია, სამუშაო ჯგუფი, სხვ.)).

საკვლევი მასალის წყაროდ გამოყენებული იყო თ. დიასამიძის (2008) მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების კოლექცია, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის საარქივო მასალა და ცენტრის სამშვიდობო ხელშეკრულებათა კოლექცია (ICCN GeoPeaceDataBase), აგრეთვე, გაერო-ს სამშვიდობო ხელშეკრულებათა მონაცემთა ბაზა (UN Peacemaker).

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევაში იდენტიფიცირებული სამშვიდობო ხელშეკრულებებისთვის შემუშავდა და ყოველ მათგანს მიენიჭა მახასიათებლები, შეგროვდა სტატისტიკური მონაცემები სამშვიდობო ხელშეკრულებების ხელმომწერთა

(ადგილობრივი და საერთაშორისო წარმომადგენლები) შესახებ, გენდერულად დაცალკევდა ინფორმაცია ხელმომწერთა შესახებ, გამოიკვეთა სამშვიდობო შეთანხმებების გეოგრაფიული არეალი და გამოიყო საერთაშორისო ორგანიზაციების ინდექსი (მონაწილეობა, როლი, ხანგრძლივობა, სხვ.). სამშვიდობო ხელშეკრულებათა შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა კონფლიქტის მოწესრიგებისთვის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების (ორგანოების) შექმნის ქრონოლოგია და საერთო სტატისტიკა. სამშვიდობო ხელშეკრულებათა დამუშავებისას გამოყენებული იქნა უფსალას უნივერსიტეტის (შვედეთი) მეთოდოლოგია. [UCDP Georeferenced Event Dataset 19.1. Uppsala Conflict Data Program, (2019)].

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებათა რაოდენობრივი მაჩვენებელ, რომელიც ასახავს ქვეყნის შიგნით და გარეთ დადებული ხელშეკრულებების რაოდენობრივ განაწილებას იმ სტრუქტურებთან მიმართებით, რომლებმაც შეიმუშავეს და/ან ხელი შეუწყეს სამშვიდობო ხელშეკრულების მიღებას.

სამშვიდობო ხელშეკრულების მოსამზადებელი დოკუმენტები, მიღებული საერთაშორისო სტრუქტურების მიერ

საერთაშორისო და სამთავრობოთშორისო ორგანიზაციათა მიერ მიღებულმა დოკუმენტებმა (რეზოლუციები, გადაწყვეტილებები, სხვ.), რომლებიც შემუშავდა და მიმართულია შეიარაღებული კონფლიქტების შესაჩერებლად, ანდა მათი სამშვიდობო ტრანსფორმაციისთვის - გარკვეული პოზიტიური როლი შეასრულა კონფლიქტის მხარეთა მოლაპარაკების მაგიდასთან დასასხდომად. ამ დოკუმენტებმა, საბოლოო ჯამში, გავლენა მოახდინა კონფლიქტის სუბიექტებზე, მხარი დაუჭირა და გააძლიერა მათი შეთანხმებები, გაეგრძელებინათ საქმიანობა სამშვიდობო პროცესებში, ეწარმოებინათ მოლაპარაკებები და შეემუშავებინათ ახალი სამშვიდობო შეთანხმებები, ეზრუნათ არსებულის შესრულებაზე. ასეთი პოზიტიური გავლენა, ნაწილობრივ, ასახულია გაერო-ს გენერალური მდივნისა და, აგრეთვე, გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წევრი ქვეყნების (ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია) დიპლომატთა მოხსენებებში.

საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის დამყარების მიზნით შექმნილი/დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად განისაზღვრა მათი რაოდენობრივი მაჩვენებლის განაწილება ხელშეკრულების მიმღები ორგანიზაციის და/ან სტრუქტურის მიმართ.

შეგროვილი მონაცემებით ვლინდება, რომ, 1991-2008 წლების ჯამური სამშვიდობო ხელშეკრულებები (სულ 454 სამშვიდობო ხელშეკრულება) მიღებულია შემდეგი სტრუქტურების მიერ, შესაბამისი რაოდენობრივი მაჩვენებლით, პროპორციულად:

1. **გაერო**-ს სამშვიდობო ხელშეკრულებები, მიმართული საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტების მოგვარებისკენ, სულ 40 რეზოლუცია; მათ შორის: 2 გაერო-ს გენერალური ასამბლეას და 38 გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია;
2. **ეუთო**-ს საპარლამენტო ასამბლეას სამშვიდობო ხელშეკრულებები, მიმართული საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტების მოგვარებისკენ, სულ 5 რეზოლუცია;
3. **ევროსაბჭოს** საპარლამენტო ასამბლეას სამშვიდობო ხელშეკრულებები, მიმართული საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტების მოგვარებისკენ, სულ 8 რეზოლუცია და რეკომენდაცია;
4. **დსთ-ს წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა საბჭოს** სამშვიდობო ხელშეკრულებები, მიმართული საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტების მოგვარებისკენ, სულ 29 გადაწყვეტილება;
5. **ევროპარლამენტის** სამშვიდობო ხელშეკრულებები, მიმართული საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტების მოგვარებისკენ, სულ 7 რეზოლუცია;
6. **ევროკავშირის საბჭოს** სამშვიდობო ხელშეკრულებები, მიმართული საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტების მოგვარებისკენ, სულ 13 გადაწყვეტილება;
7. **ნატო-ს** საპარლამენტო ასამბლეას სამშვიდობო ხელშეკრულებები, მიმართული საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტების მოგვარებისკენ, სულ 2 დეკლარაცია;
8. **აშშ სენატის** სამშვიდობო ხელშეკრულებები, მიმართული საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტების მოგვარებისკენ, სულ 1 რეზოლუცია;

9. ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და ქართულ-რუსული მოლაპარაკებების ფორმატებში სპეციალურად შექმნილი ორგანოების ერთობლივ სტრუქტურათა (ერთობლივი კომისია, სამუშაო ჯგუფი, სხვ.) მიერ მიღებული სამშვიდობო ხელშეკრულებები, მიმართული საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტების მოგვარებისკენ, სულ, 349 დოკუმენტი.



გრაფიკი #1. სამშვიდობო ხელშეკრულებები (სულ 105) მიმღები სტრუქტურების მიხედვით 1991-2008 წლებში.

გაერო-ს სამშვიდობო ხელშეკრულებათა მონაცემთა ბაზაში თავმოყრილი დოკუმენტები (სულ დაახლ. 800), გაერო-ს შეფასებით, სამშვიდობო ხელშეკრულებებია [UN Peacemaker, (2019)]. ამ ხელშეკრულებებს გაერო მშვიდობისმშენებლებისა და მშვიდობის პრაქტიკოსების პროფესიულ ინსტრუმენტებად განიხილავს ორი ტიპის კონფლიქტის მოგვარებისთვის: შიდასახელმწიფოებრივი (intra-state) და სახელმწიფოთაშორისი (inter-state) კონფლიქტებისას. ასე, მაგალითად, 2008 წლის 6-პუნქტიანი ხელშეკრულება და მისი განხორციელების შეთანხმება, გაერო-ს განხილული აქვს, როგორც სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის სამშვიდობო ხელშეკრულება, ხოლო, მაგ.: შევარდნაძე-ელცინის 1992 წლის სოჭის დოკუმენტი - როგორც შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის სამშვიდობო ხელშეკრულება [იქვე.].

გაერო სამშვიდობო ხელშეკრულებებად არ განიხილავს გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, მიუხედავად იმისა, რომ რიგი ამ რეზოლუციებისა მიღებულია კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე ან ამ დოკუმენტებმა ხელი შეუწყო ახალი, მორიგი შეთანხმების მიღწევას. სამშვიდობო ხელშეკრულებებად გაერო განიხილავს იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც დაიდო კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მიერ და, საქართველოს შემთხვევაში, გაერო ასეთი ტიპის დოკუმენტებად 25 დოკუმენტს აღიარებს [იქვე.].

გაერო განიხილავს რა საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებად 25 დოკუმენტს, მათ შორის გამოყოფს შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტისა და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის შედეგად მიღებულ სამშვიდობო ხელშეკრულებებს. იხ. გრაფიკი #2.



გრაფიკი #2: გაერო-ს მიერ სამშვიდობო ხელშეკრულებებად შეფასებული ხელშეკრულებათა რაოდენობრივი განაწილება. წყარო: https://peacemaker.un.org

ეს მონაცემები, კვლევაში გამოთქმული შეფასებით, სრულად არ ასახავს, თუნდაც, მხოლოდ ქართულ-აფხაზური მიმართულებით კონფლიქტის მოგვარებისთვის შემუშავებულ და მიღებულ სამშვიდობო ხელშეკრულებათა მონაცემებს. სხვადასხვა წყაროს

გაანალიზებისას, მოპოვებულია კიდევ სხვა დოკუმენტები, რომლებიც, ასევე, განხილულია, როგორც სამშვიდობო ხელშეკრულებები, თუმცა, ეს დოკუმენტები არ არის ასახული გაერო-ს სამშვიდობო ხელშეკრულებათა მონაცემთა ბაზაში. მაგალითად, ორი დოკუმენტი, როგორც სამშვიდობო ხელშეკრულება, იდენტიფიცირებული და ასახულია აშშ კვლევითი ინსტიტუტის ბაზაში [Peace Accords Matrix, by University of Notre Dame, Indiana, US, (2017)]. კიდევ რამდენიმე ხელშეკრულება კი - უფსალას უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში [The Uppsala Conflict Data Program (UCDP), (2017)]. ასევე, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მდიდარი საარქივო დოკუმენტები და სამშვიდობო ხელშეკრულებათა კოლექცია გვაძლევს იმ საფუძველს, რომ არასრულყოფილად შევაფასოთ გაერო-ს მიერ სამშვიდობო ხელშეკრულებებად შეფასებული დოკუმენტების ჯამური რაოდენობა.

ქვემოთ (იხ. გრაფიკი #3) მოტანილია რაოდენობრივი მაჩვენებელი იმ სამშვიდობო ხელშეკრულებებისა, რომლებიც, სხვადასხვა დროს, მიღებული იყო საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილე მხარეთა მოლაპარაკებების შედეგად, სპეციალურად შექმნილი ერთობლივი (ორმხრივი, მრავალმხრივი) სტრუქტურების მიერ, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და მშვიდობის მიღწევის მიზნით.



გრაფიკი #3. საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებები მიმღები სტრუქტურების მიხედვით 1991-2008 წლებში

როგორც გრაფიკი #3-დან ჩანს, 349 დოკუმენტი შემუშავებულია სპეციალურად შექმნილი ერთობლივი (ორმხრივი, მრავალმხრივი), ხოლო 105 დოკუმენტი - საერთაშორისო სტრუქტურების მიერ, რაც საერთო 454 სამშვიდობო ხელშეკრულების 77%-სა და 23%-ს შეადგენს, შესაბამისად.

კვლევის დროს მიმოხილულ ყველა წყაროში სამშვიდობო ხელშეკრულებათა რაოდენობა იმდენად ეკლექტურია, რომ ეს, თავისთავად, მიუთითებს ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელების მნიშვნელობასა და საჭიროებას.

დასკვნისათვის, ზემოთ აღწერილი მდგომარეობა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას, რომ საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებათა მეცნიერული შესწავლა, რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი ჯერ არ განხორციელებულა. სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტე, ამ პრობლემას შევეხო და კვლევითი-საარქივო საქმიანობა, რომელიც 2014 წლიდან დავიწყე - ამ ხარვეზის გამოსწორებას დავუკავშირო.

სამომავლოდ, მთავარი რეკომენდაცია, სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ეხმიანება: გათვალისწინებული უნდა იქნას სახელმწიფოსა და კერძო კოლექციებში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობის საკითხი (მაგ.: სამშვიდობო დოკუმენტების ელ. არქივის ხელმისაწვდომობა), რაც მოემსახურება სამშვიდობო რესურსების განვითარებას კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზაზე.

თავისთავად, სამშვიდობო ხელშეკრულებათა ანალიზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამშვიდობო პროცესის სრულად დასანახად და გამოცდილების გასააზრებლად, დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად, რაც, კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებასა და ხელისუფლებას მომავალ პერსპექტივებს დაანახვებს.

ლიტერატურა
References:

1. ACCORD (2009). Ending war: the need for peace process support strategies. Policy Brief. London: Conciliation Resources. http://c-r.org/downloads/Endingwar_policybrief_2009.pdf
2. Johan Galtung, Violence, Peace, and Peace Research. Journal of Peace Research, Vol. 6, No. 3 (1969), pp. 167-191.

3. The Rule Of Law And Transitional Justice In Conflict And Post-Conflict Societies. Report of the Secretary General, UN Doc. S/2004/616. https://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFCF9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/PCS%20S%202004%20616.pdf
4. Kuol, Nyok, K. A., Challenges of Implementing Peace Agreements in Africa: a Case Study of the Sudan Comprehensive Peace Agreement, University of Nairobi, 2010. http://erepository.uonbi.ac.ke/handle/11295/96260
5. Christine Bell, The American Journal of International Law, Vol. 100, No. 2 (Apr., 2006), pp. 373-412.
6. gaero-s damkvirvebelTa misia (UNOMIG) saqarTveloSi. https://peacekeeping.un.org/mission/past/unomig/background.html
7. diasamiZe, T. saqarTvelos regionuli konfliqtebi, politikur-samarTlebrivi aqtebis koleqcia, regionalizmis kvlevis centri. Tbilisi, 2008. Regionalism Research Centre, T. Diasamidze (2008) REGIONAL CONFLICTS IN GEORGIA – THE AUTONOMOUS OBLAST OF SOUTH OSSETIA, THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA (1989-2002). THE COLLECTION OF POLITICAL-LEGAL ACTS http//www.rrc.ge
8. samSvidobo xelSekrulebebis monacemTa baza (GeoPeaceData), konfliqtebisa da molaparakebaTa saerTaSoriso kvleviTi centri. cixisTavi-xuciSvili, n. (red.) konfliqtebisa da molaparakebaTa saerTaSoriso kvleviTi centri (ICCN). naxvis TariRi /8/6/2019/ http://iccn.ge/index.php?article_id=300&clang=1 (ICCN). http://iccn.ge/index.php?article_id=97&clang=0
9. ICCN in partnership of the ECMI Regional Representative for the Caucasus implemented the project on publishing Special Bulletin observing existing documentary basis in Georgian-Ossetian conflict resolution process. Edited by Dr. George Khutsishvili, Chair of ICCN, 2005. www.iccn.ge
10. gaero-s samSvidobo xelSekrulebaTa monacemTa baza UN peacemaking data http://peacemaker.un.org/document-search
11. The Uppsala Conflict Data Program (UCDP) https://ucdp.uu.se/
12. Högbladh Stina, 2019, “UCDP GED, Codebook version 19.1”, Department of Peace and Conflict Research, Uppsala University.
13. INCORE International Conflict research Institute: http://www.peaceagreements.ulster.ac.uk/cgi-bin/Agreements/agree.pl?list=all
14. The Peace Research Institute Oslo (PRIO): https://www.prio.org/Data/
15. The University of Edinburgh: http://www.peaceagreements.org/
16. Peace Agreement Drafter’s Handbook: http://id.cdint.org/content/documents/Peace_Agreement_Drafters_Handbook.pdf

17. Peace Negotiations and Agreements
https://www.inclusivesecurity.org/wp-content/uploads/2012/04/37_peace_negotiations.pdf
18. OSCE filled mission in Georgia
http://www.osce.org/resources/documents/Georgia?filters=+im_taxonomy_vid_3:(116)+im_taxonomy_vid_22:(473)+ds_date:([1993-01-01T00:00:00Z%20TO%202010-01-01T00:00:00Z])&solrsort=score%20desc&rows=10&category=Official%20Documents

რეცენზენტი: პროფესორი გუგული მაღრაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Nina Tsikhistavi-Khutsishvili

FOR THE QUANTITATIVE INDICATORS OF PEACE AGREEMENTS OF GEORGIA ADOPTED IN 1991-2008

Summary

The present Article "For the Quantitative Indicators of Peace Agreements of Georgia adopted in 1991-2008" is one of the first attempts to systematize Peace Agreements of Georgia and provide with a qualitative and quantitative analysis. Author reviews contemporary scientific approaches of analyzing and elaborating peace agreements and develops her own reasoning on how to evaluate a cascade of peace agreements that were adopted for Georgia's conflict resolution by peaceful means and peacebuilding. The study reviews peace agreements adopted in the period from 1991 to 2008 and divides two types of peace agreements according to the characteristics identified. The Article is valuable for the field specialists and Government representatives whose work is directly connected to the peace process of Georgia.

Keywords: Peace Agreement, Peace Process, Armed Conflict, Conflict Prevention, Track 1 Negotiations.

Reviewer: Professor Guguli Maghradze, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Нина Цихистави-Хуцишвили

О КОЛИЧЕСТВЕННЫХ ПОКАЗАТЕЛЯХ МИРНЫХ СОГЛАШЕНИЙ ГРУЗИИ, ПРИНЯТЫХ В 1991–2008 ГОДАХ

Резюме

Настоящая статья «О количественных показателях мирных соглашений Грузии, принятых в 1991–2008 годах» является одной из первых попыток, систематизировать мирные соглашения Грузии и провести их качественный и количественный анализ. Автор рассматривает современные научные подходы к анализу и обработке мирных соглашений и представляет собственные аргументы для оценки каскада мирных соглашений, принятых для мирного урегулирования конфликтов Грузии и для миростроительства. В исследовании рассматриваются мирные соглашения, принятые в период с 1991 - 2008 гг. а также выделены два типа мирных соглашений, в соответствии с индикаторами. Статья полезна как для специалистов, так и для представителей правительства, чья деятельность напрямую связана с мирным процессом Грузии.

Ключевые слова: Мирные соглашения, мирный процесс, вооруженные конфликты, превенция конфликтов, официальные переговоры.

Рецензент: Профессор Гугули Маградзе, Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили.

РЕДКОЛЛЕГИЯ

НАНА АВАЛИАНИ	Советник МИД Грузии, доктор исторических наук. (Грузия)
Владыко АВРААМ (ГАРМЕЛИЯ)	Митрополит Западной Европы. (Грузия)
РУДИГЕР АНДРЕСЕН	Профессор экономики Берлинского университета, почетный доктор Грузинского технического университета. (Германия)
ГЕОРГИЙ БАГАТУРИЯ	Профессор Грузинского технического университета. (Грузия)
ОТАР БАГАТУРИЯ	Ответственный секретарь, Ассоцированный профессор Грузинского технического университета. (Грузия)
ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ	Профессор Грузинского технического университета, руководитель департаменгта бизнес администрирования. (Грузия)
РАСА БЕЛОКАЙТЕ	Профессор университета Витаутаса Великого. (Лиетува)
ХАРАЛЬД ВЕРТЦ	Профессор информатики Сорбонского университетета «Пари-8». (Франция)
АНАСТАСИЯ ГАНИЧ	Доцент, научный сотрудник исследовательского центра Центральной Азии, Кавказа и Урал-привольжия АН РФ. (РФ)
ЮРИЙ ГОРИЦКИЙ	Профессор Московского энергетического института. (РФ)
ВАХТАНГ ГУРУЛИ	Профессор Грузинского Университета им. св. Андрея Первозванного Патриаршества Грузии. (Грузия)
КЕТО ДАВИТАЯ	Ассоциированный исследователь Института зоологии им. Илии, (Грузия)
ШОТА ДОГОНАДЗЕ	Главный редактор, профессор Грузинского технического университета. (Грузия)
ЕЛУН ДРАКЕ	Эксерт Совета Европы (Франция)
ВЯЧЕСЛАВ ДЗЮНДЗЮК	Профессор Харьковского регионального института государственного управления Национальной академии государственного управления при Президенте Украины, заведующий кафедрой политологии и философии. (Украина)

СЕРДЖИО КАМИЗ	Профессор Римского Университета «Ла Сапиенза» (Италия)
КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ	Профессор Грузинского технического университета, глава администрации университета. (Грузия)
ОТАР КОЧОРАДЗЕ	Заместитель главного редактора, профессор Грузинского технического университета. (Грузия)
РУСУДАН КУТАТЕЛАДЗЕ	Профессор Грузинского технического университета, декан факультета бизнес-технологий. (Грузия)
РИЧАРД МААС	Профессор университета Нотрдам. (Нидерланды)
МИХАЙЛО МЕДВИДЬ	Старший научный сотрудник Национальной академии Национальной гвардии Украины. (Украина)
РОИН МЕТРЕВЕЛИ	Академик. Вице-президент АН Грузии. (Грузия)
ИОШИКА МИЦУИ	Профессор национального университета Йокогамы . (Япония)
БАДРИ НАКАШИДЗЕ	Заместитель министра образования, культуры и спорта АР Аджарии, Доктор юридических наук, профессор. (Грузия)
РАМОН ПЬЕТРО-СУАРЕС	Эксперт Совета Европы. (Испания)
БУДИ НУРАНИ РУЧДЖАНА	Профессор университета Паджаджаран. (Индонезия)
ГЕРТ СУРМЮЛЕН	Доктор, президент логистической компании (Германия)
ИЯ ХУБАШВИЛИ	Профессор Тбилисского государственного университета им. Ив.Джавахишвили (Грузия)
МАЙА ЧХЕИДЗЕ	Профессор Университета Грузии (Грузия)
ЛИЗАВЕТА ЖАХАНИНА	Профессор государственного университета Канзас (США)
ЭНДРЮ ЛЕНУКС ХАРДИНГС	Профессор кингсколледжа (Великобритания)
ГЕННАДИЙ ЯШВИЛИ	Профессор Грузинского технического университета, руководитель департамента публичного управления и электронного бизнеса (Грузия)

ჟურნალის ტექნიკური რედაქტორი: ზურაბ ჯიშკარიანი
Технический редактор журнала: Зураб Джишкарияни
Technical Editor: Zurab Jishkariani